



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

მ ო ს ს ე ნ ე ბ ა

თემაზე: **უშმპ - საიდუმლო აბრევიატურა, თუ ჩვენი  
თანამოქალაქეები?**

*ვის მტრობს არქიტექტურული გარემო*

ხელმძღვანელი: ვლადიმერ ვარდოსანიძე

სტუდენტები: მარიამ წიკლაური (ნაწილი I)

თამარ გორგასანიძე (ნაწილი II)

## ნაწილი I

ჩვენს მოხსენებას დავიწყებთ, რამდენიმე რიტორიკული კითხვით: რამდენად ხშირად ნახულობთ ქალაქში პიროვნებებს, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან? ან გინახავთ კი ჩვენს უნივერსიტეტში ეტლიანი სტუდენტი?

ვინაიდან დროში შეზღუდულები ვართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პირობითად მოვისხენიებთ, როგორც “პირებს”. თავდაპირველად მოგახსენებთ მცირე ინფორმაციას პირთა კონვენციის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღო, “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია”, რომლის მიზანია უზრუნველყოს პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება. დღესდღეობით, კონვენციაზე 118 ქვეყანას აქვს ხელი მოწერილი და მისი პროტოკოლი ხელმოწერილია საქართველოს მიერ 2009 წლის 10 ივლისს, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ არ მომხდარა.

აღნიშნული კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ პირთა უფლებას განათლებაზე. ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და პიროვნების თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღებას.

### შშმ პირები და საზოგადოება- დამოკიდებულება

ტერმინები, რომელსაც ვიყენებთ, გამოხატავენ არა მარტო ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, არამედ ნათლად ასახავს საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებსაც. ე.წ. “იარლიყების” მინიჭებით, ხშირად ხელოვნურად ვუქმნით ბარიერებს მათ, ვინც ჩვენგან “განსხვავებულია” და არ ჯდება საზოგადოების მიერ აღიარებულ “სტანდარტებში”. მრავალი წლის მანძილზე, ტერმინი “ინვალიდი” არა მარტო ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობაზე მიუთითებდა, არამედ ხაზს უსვამდა მის “უსარგებლობას” და კიდევ უფრო აღრმავებდა საზოგადოებისაგან იზოლაციას.

ბოლო ათწლეულში სოციალურ სფეროსა და საზოგადოებრივ მენტალიტეტში მომხდარი ცვლილებების ფონზე, მიუღებელი აღმოჩნდა მიდგომა მრავალი პრობლემისადმი, მათ შორის “ინვალიდობისადმი”. 1995 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ”, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკა ამ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი პირობების უზრუნველყოფის საკითხებში.

კანონები გვეკარნახობენ წესებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ საზოგადოებაში პოზიტიური განწყობის შექმნა. აღიარებულია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლის გადალახვაც პირებს უწევთ, არის საზოგადოების დამოკიდებულება. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ჯერ კიდევ არაა მზად აღიქვას ისინი სრულფასოვან და სრულფუნქციონარ ვივრებად, ჯერ კიდევ ძლიერია გაუცხოებისა და “სიბრალეულის” ფაქტორი, მათზე საუბრისას ხშირად გაისმის სიტყვები “საბრალეო”, “საწყალო”, “უბედური”, რაც არა მარტო არაეთიკური, არამედ დამამცირებელიც კი არის.

### **საზოგადოებაში გავრცელებული ნეგატიური მიდგომები**

სპეციალურ ლიტერატურაში მეისის მიერ (აშშ, 1978წ.) აღწერილია 6 ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიდგომა: შიში, სიმპათია, თავის არიდება, გადამეტებული მზრუნველობა, ზერედე ტოლერანტობა. აღნიშნული მიდგომების გაცნობა დაგვეხმარება ჩვენი საკუთარი დამოკიდებულების ამოცნობასა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლაში.

**შიში** – ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ შეზღუდულობა გადამდებია და ზიანს მიაყენებს. მათ მიიჩნიათ, რომ პირთან ურთიერთობა დეპრესიის გამომწვევია, რამდენადაც ისინი უბედურები და დეპრესიულები არიან. ამ შემთხვევაში იოლი დასანახია, რატომ არის შიში ნეგატიური მიდგომა.

**სიმპათია** – გაცილებით რთული შესამჩნევია რატომ არის სიმპათია ნეგატიური დამოკიდებულება, მაგრამ თუ ჩაუვკვირდებით სიმპათიის გამომხატველ ფრაზებს, ყველაფერი ნათელი გახდება. ჩვეულებრივ გვესმის: “ოჰ, საწყალო”, “ისე მეცოდება”. ასეთ შემთხვევაში სიმპათია მხოლოდ ამცირებს პირთა ღირსებას.

**თავის არიდება** - ზოგიერთი ადამიანი პირთან ურთიერთობით დისკომფორტს განიცდის, ცდილობს ასეთ სიტუაციებს მაქსიმალურად აარიდოს თავი, რაც თავისთავად ორივე მხარისათვის მორალურ დანაკარგს წარმოადგენს.

**გადამეტებული მზრუნველობა** – სიმპათიის მსგავსად გადამეტებული მზრუნველობა, ერთი შეხედვით, შეიძლება პოზიტიურ დამოკიდებულებად ჩაითვალოს. ალბათ დამეთანხმებით, პიროვნება ვითარდება სირთულეების წარმატებით გადალახვისას. ყველა ადამიანს უნდა მიეცეს საშუალება შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს, რაც გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ შეიძლება ხელი შევუწყოთ მათ ამ პროცესში, მაგრამ მათ მაგივრად ვერ განვეითარდებით. გადამეტებული მზრუნველობის ქვეშ მოქცეული პირები ხდებიან დაუცველი, დამოკიდებული მოზარდები და ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებას.

**ზერედე ტოლერანტობა** - პირთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ასეთ ადამიანებს ახასიათებთ საკითხისადმი

ზედაპირული მიდგომა. ისინი მხოლოდ სიტყვიერი, ფინანსური დახმარებით შემოიფარგლებიან და თავს არიდებენ პირდაპირ, ღია კონტაქტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად გულწრფელი დამოკიდებულებაა. ისინი თავს ვალმოხდილად გრძნობენ და ამით კიდევ უფრო აღრმავებენ იმ ზღვარს, რაც პირებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის არსებობს.

**პოზიტიური მიდგომა** – თუ პირებს ვაღიარებთ ისეთებად, როგორც ისინი არიან და მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით, ეს მათ მხოლოდ ზიანს მოუტანს. ამის ნაცვლად უნდა ვიყოთ ოპტიმისტურად განწყობილნი პირთა შემდგომი განვითარების მიმართ და ხელს ვუწყობდეთ ამ პროცესს.

### სამედიცინო და სოციალური მოდელი

არ არსებობს ერთი, კონკრეტული პასუხი კითხვაზე - „რა არის შეზღუდული შესაძლებლობა?“ რთულია აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების შესწავლას ეხება. ის, თუ როგორ გვესმის ჩვენ **შეზღუდული შესაძლებლობა**, გავლენას ახდენს არა მარტო ჩვენს ლექსიკაზე, არამედ ჩვენს დამოკიდებულებაზე პირების მიმართ. არსებობს აღნიშნული ტერმინის აღქმის ორი ძირითადი მოდელი – სამედიცინო და სოციალური. **სამედიცინო მოდელი** შეზღუდულ შესაძლებლობას აღიქვამს რაიმე დაზიანებით, დაავადებით ან ავადმყოფობით გამოწვეულ მოვლენად, როდესაც ადამიანი ვერ ხედავს, არ ესმის, ან არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება. ასეთი მიდგომა აკნინებს პიროვნებას და გამორიცხავს მის სრულყოფილ ჩართვას საზოგადოებრივ აქტივობაში. **სოციალური მოდელი** შეზღუდულ შესაძლებლობას აღიქვამს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობის დაკარგვად, რაც გამოწვეულია ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინფრასტრუქტურულ არქიტექტურულ-გეგმარებითი ბარიერებით. ამდენად, მოდელი ხაზს უსვამს, რომ ადამიანის შეზღუდულობას განაპირობებს არა მისი ფიზიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები, არამედ საზოგადოების რეაქცია და დამოკიდებულება. მაგალითად, ეტლში მჯდომი პირისათვის განათლების მიღება შეიძლება შეიზღუდოს არა იმის გამო, რომ მას ეტლი ესაჭიროება არამედ იმიტომ, რომ მისთვის მიუწვდომელია ინფორმაცია, ტრანსპორტი, სასწავლო დაწესებულება (არ არის ლიფტი, პანდუსი, სველი წერტილი).

მსოფლიოში 700 მილიონზე მეტი შშმ პირია (მსოფლიო მოსახლეობის 10-15%) , ხოლო საქართველოში ოფიციალური სტატისტიკით 200 000 მდე, არაოფიციალური მონაცემებით კი ორჯერ მეტი - 400 000.

საქართველოში მდგომარეობა სავალალოა ხშირად ირღვევა ამგვარი საზოგადოების უფლებები, არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, დაბალია საზოგადოების

ცნობიერება, არ არის ადაპტირებული გარემო, მოუგვარებელია პირთა დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები, თავად პირები იზოლირებულნი არიან სოციუმისაგან და ა.შ. ნაწილი ქართული საზოგადოებისა ამ კუთხით ინდიფერენტული და არაინფორმირებულია. სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება გამომდინარეობს იქიდან, თუ რაოდენ ხშირად გამოჩნდებიან ისინი საზოგადოებრივ ადგილებში. საჭიროა, რომ პირებმა დაიკაონ თანასწორი ადგილი და მიიღონ აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ზემოხსენებული სიტყვების დასადასტურებლად თბილისის ცენტრში ჩავტარეთ ურბანული გარემოს კვლევა. კერძოდ, რუსთაველის გამზირზე არსებული საზოგადოებრივ შენობები შევისწავლეთ თუ რამდენადაა გათვალისწინებული პირთათვის საჭირო პირობები.

ეროვნულ მუზეუმს სულ ეხლახანს ჩაუტარდა რესტავრაცია და ადაპტირდა პირებისათვის. გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ პირი შენობაში ხვდება ცენტრალური შესასვლელიდან და არა “უკანა კარით”. ამით არ ხდება მათი დისკრიმინაცია და კიდევ ერთხელ ახსენებს საზოგადოებას იმ მივიწყებულ ფაქტს, რომ ისინიც ჩვენი საზოგადოების წევრები არიან. მუზეუმში გათვალისწინებულია ქალისა და მამაკაცის სველი წერტილები საჭირო მოწყობილობებით. ასევე გათვალისწინებულია ზედა სართულზე ასასვლელი ლიფტი, რომელიც სტანდარტებს ესადაგება. (ლიფტის ღილაკების სიმაღლე იატაკის დონიდან, ლიფტის კარის გაბარიტები, კაბინის ფართობი და თავისუფალი გადასვლა სართულიდან ლიფტში და პირიქით.) მიუხედავად იმისა, რომ ამდენი რამ არის გათვალისწინებული, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ხარვაზები. სველ წერტილში მინიმალურადაა გამოყენებული პირის გადაადგილებისათვის საყრდენი მოწყობილობები. ასევე ნიჟარასთან მდებარე ხელსაწმენდი ქაღალდის სიმაღლეც არ შეესაბამება ნორმებს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის II კორპუსში არანაირი პირობა არ არის პირთათვის, ხოლო III კორპუსში კი არის მაგრამ შეზღუდულად, რაც იმაში გამოიხატება, რომ შემოსასვლელი კარი არის არა გუდიაშვილის ქუჩიდან არამედ ფურცელაძიდან, ანუ ზემოხსენებული “უკანა კარიდან”, კარიდან, რომელიც უფუნქციოა და ჩაკეტილი. მას არანაირი ღილაკი აქვს, რომელიც აუწყებდა შენობაში მყოფთ მათ მოსვლას. კარის გაღებისას გვხვდება საკმაოდ დახრილი პანდუსი, მართალია ფილები ხაოიანია, მაგრამ პირი დახმარების გარეშე მაინც ვერ ისარგებლებს. ამასთანავე მოაჯირი მას არ გააჩნია, მაგრამ პანდუსის დახრის გათვალისწინებით მოაჯირი მაინც უფუნქციო იქნებოდა. გათვალისწინებულია სველი წერტილი, თუმცა მისი ნახვის საშუალება არ მოგვეცა. ადმინისტრაციის თქმით,

პირები ბიბლიოთეკით არ სარგებლობენ, მაგრამ შენობაში მაინც არის ერთი ოთახი, რომელიც სპეციალურად არის მათთვის განკუთვნილი.

რაც შეეხება კინოთეატრ “რუსთაველსა” და “ამირანს” საგანგაშო მდგომარეობაა. კინოთეატრ რუსთაველში განგვიცხადეს, რომ არანაირი პირობა გააჩნიათ მათთვის, ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც პირები მოდიან, დაცვა ეხმარება მათ კიბით სარგებლობაში. დარბაზში მათთვის ადგილები არაა, მათ უწევთ პირველი რიგის წინ მოთავსება, რომელიც საკმაოდ მოუხერხებელი და საზიანოა.

კინოთეატრ “ამირანში” პირები დარბაზში შეყავთ გამოსასვლელიდან, რომელიც დაახლოებით 15 სმ სიმაღლის ბარიერის გადალახვას საჭიროებს, ხოლო დარბაზში, რადგან საფეხურები არაა და გრძელი პანდუსია შესაძლებელი არის მე-9 რიგში მოთავსება. როდესაც ვიკითხეთ ხშირად მოდიან თუ არა პირები პასუხი ასეთი მივიღეთ: “დიას! რა თქმა უნდა ჩვენთან ხშირად მოდიან უპატრონო ბავშვები!”

“ცისფერი გალერეას” ჩაუტარდა სრული რესტავრაცია, მაგრამ არასრულადაა მორეგებული პირთა მოთხოვნილებებს. შესასვლელი პანდუსს არ საჭიროებს, რადგან ის მიწის დონეს უსწორდება. სართულებზე გადაადგილება ლიფტის საშუალებით ხდება, მაგრამ არ არის სპეციალური სველი წერტილი.

თითქმის ასეთივე სიტუაციაა ყოფილ “კადეტთა კორპუსში”, არც აქ არის პირთათვის ადჭურვილი სველი წერტილი, მაგრამ გადაადგილებისათვის ლიფტი და პანდუსებია.

დათვალიერებული 3 სასტუმროდან “ჰოლიდეი ინ”, “რედისონი” და “თბილისი მერიოტი” სრულიად ადაპტირებული სიტუაცია დაგვხვდა “თბილისი მერიოტსა” და “რედისონში”. სასტუმროებში არის სპეციალური ნომრები პირთათვის, რომლებშიც ყველანაირი პირობაა შექმნილი კომფორტულად გადაადგილებისა და ცხოვრებისათვის. რაც შეეხება “ჰოლიდეი ინს” კითხვის გამეორება რამდენჯერმე მოგვიწია, რათა ბოლომდე მიგვეხვედრებინა პერსონალი თუ რაში მდგომარეობდა ჩვენი შეკითხვის არსი.

“ჰოლიდეი ინის” ეს მაგალითი და კინოთეატრ ამირანის ადმინისტრაციის პასუხი ნათელი მაგალითია იმ რეალობისა, რომ საზოგადოება არ იცნობს პირებს, არ იციან მათთან მოპყრობა, მათი მოთხოვნილებები და სრულიად გარიყულნი არიან.

რაც შეეხება “ფილარმონიას” სასიხარულოა, რომ თბილისში ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი ადჭურვილია ყველა იმ ტექნიკითა და მოწყობილობით, რომელიც აუცილებელია პირებისათვის. შენობაში შესვლა აქაც “უკანა კარიდან” ხდება, მაგრამ ზემოხსენებული “უკანა კარის” მაგალითებიდან ეს ყველაზე ნაკლებად შეურაცხმყოფელია. მოწყობილია სპეციალური პანდუსი, რომელსაც მიყვავართ ლიფტთან, შემდგომ კი საკონცერტო დარბაზში შესასვლელ კართან. დარბაზში

გამოყოფილია სპეციალური ადგილები, რაც სხვა მაყურებელს ხილვადობის გამო არანაირ დისკომფორტს არ უქმნის. ასევე გათვალისწინებულია სპეციალური სველი წერტილი, მაგრამ ტექნიკური მიზეზის გამო მისი ნახვა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება ხარვეზებს, ლიფტის კაბინა ვიწროა, მასში ეტლის მობრუნება საკმაოდ რთულია. ლიფტისა და შენობის იატაკს შორის მოზრდილი ღიობია, რაც დადგენილი ნორმების მიხედვით მიუღებელია. პირისთვის გათვლილი ავტოსადგომი შესასვლელისგან იმდენად შორს არის, რომ მათ ფილარმონიის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გადაადგილება უწევთ.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გაერცელებული სწრაფი კვების ობიექტი “მაკდონალდსია”, რომლის საბურთალოს ფილიალი მეტნაკლებად ადაპტირებულია პირთათვის. შენობაში შესვლა ხდება პანდუსის საშუალებით, რომელსაც მხოლოდ ერთ მხარეს აქვს მოაჯირი და დაშვებულზე ოდნავ მაღალია 1,05 მ. რესტორნის მეორე სართულზე მოხვედრა შეუძლებელია, არც სველი წერტილი და არც სპეციალური ზომის დახლია გათვლისწინებული. მაგიდების სიმაღლე კი ნორმის მიხედვითაა 0,75 მ.

სახოგადობრივი შენობების გარდა, არც თბილისის ქუჩებია პირთათვის ადაპტირებული, მოუწესრიგებელია ტროტუარები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელი, რომელზეც ახლახანს დაამაგრეს სპეციალური რელსები ეტლისათვის. მათი მოხერხებულობის გამოსაცდელად ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელის თანახმადაც უნდა დადგენილიყო, რამდენად შესაძლებელია ფიზიკურად ძლიერი პიროვნებისათვის ამ პანდუსებით დამოუკიდებლად სარგებლობა. ექსპერიმენტში მონაწილე სპორცმენისათვის ქალაქში გადაადგილება პრობლემას არ წარმოადგენდა, თუმცა პანდუსზე ასვლის არაერთი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მცდელობამ შედეგი მაშინაც არ გამოიღო, როდესაც მასთან დასახმარებლად გამგლელი მივიდა.

ამ ექსპერიმენტის ავტორებმა, როდესაც მერის თანამშრომლებს უჩვენეს შედეგები, მათგან 3 განსხვავებული მოსაზრება მიიღეს:

1. ექსპერიმენტში მონაწილე პირებმა სათანადოდ არ მონიღომეს.
2. პანდუსები ბარგის გადასაზიდი საშუალებაა. (მიუხედავად იმისა, რომ პანდუსზე ბილიკებისათვის განკუთნილი მანძილი არ ემთხვევა ტვირთვის/ბარგის ბორბლებს).
3. პანდუსები სტანდარტებს არ აკმაყოფილებს და გამოუსადეგარია.

პირთათვის არც სახოგადობრივი ტრანსპორტი არის ადაპტირებული. ავტობუსს უნდა გააჩნდეს სპეციალური პანდუსი, რომელიც ავტომატურად გაიშლება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მისცემს საშუალებას თავისუფლად ავიდეს ტრანსპორტში. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ავტობუსს არ გააჩნია ავტომატური

პანდუსი ტროტუარი ამადლებულია ავტობუსის იატაკის სიმაღლეზე და სპეციალური ადგილები აქვთ გამოყოფილი. არსებობს ასევე ადაპტირებული ტაქსები, რომელსაც იგივე მექანიზმი გააჩნია, რაც ავტობუსს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილება არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ორი ტრანსპორტით, მათ ასევე შეუძლიათ ისარგებლონ მეტროთი, სადაც ესკალატორის ნაცვლად გამოყოფილია ლიფტები. საქართველოში კი საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება პირთათვის აბსოლუტურად შეუძლებელია.

## ნაწილი II

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირის ცხოვრებაში არის განათლება. ჩვენ დაუკავშირდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის ინკლუზიური განათლების კოორდინატორ თათია პაჭკორიას, რომელმაც გაგვაცნო თუ რაოდენ წარმატებით მიმდინარეობს სკოლებში ინკლუზიური განათლება. გადავწყვიტეთ გაგვეგო როგორი არქიტექტურულ-გეგმარებითი პირობები არის უმაღლეს სასწავლებლებში. პირველად დავათვალიერეთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტს II კორპუსი, სადაც შემოსასვლელი ხდება “უკანა კარით”, რომელიც იღება დაცვასთან დარეკვის შემდეგ. უნივერსიტეტში არ არის სველი წერტილი, ხოლო სართულებზე გადაადგილება ხდება კიბეზე არასწორად დამონტაჟებული რელსებით, რომლის გადალახვაც დახმარების გარეშე შეუძლებელია. უნივერსიტეტში სწავლობს სპეციალური საჭიროების მქონე ერთი სტუდენტი.

ილიას უნივერსიტეტშიც შემოსასვლელი არის ფალიაშვილის ქუჩიდან, პირის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ ერთ სართულზე. შესასვლელში პანდუსის შემდეგ არის საფეხური. შენობის ნაწილში განთავსებულია სამკურნალო დაწესებულება აუტიზმით დაავადებულთათვის და სველი წერტილიც მათთვისაა, რომელიც ძირითადად ჩაკეტილია. უნივერსიტეტში არის 2 სტუდენტი, რომელთაგან ერთი სისტემატიურად ესწრება ლექციებს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში არაა არანაირი პირობა. ზემოხსენებული ინფორმაციიდან შეგვიძლია დასკვნა გამოვიატნოთ, რომ დღესდღობით პირებისათვის არქიტექტურულ-გეგმარებითი პირობები ნორმებს არ შეესაბამება. ჩვენი სამომავლო მიზანია გავდოთ ხიდი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის რათა ყველასთვის შესაძლებელი გახდეს სასურველ პროფესიას დაუფლოს. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე გამოვკითხეთ პროფესორები და



სტუდენტები. კვლევის მიზანი იყო გაგვევო თუ რას ფიქრობენ პირთა გამოჩენაზე ჩვენს ფაკულტეტზე. პროფესორებს სულ დაურიგა 100 ანკეტა, აქედან 56 დაგვიბრუნდა. კითხვაზე მიესალმებოდით თუ არა არქიტექტურის ფაკულტეტზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების გამოჩენას - პროფესორთა პასუხების მიხედვით 33-33 ხმა მიესალმება, აუცილებლადაც მიმაჩნია და საჭიროების შემთხვევაში დამატებით დროსა და ყურადღებას დაუთმობენ. 3 ადამიანს ამაზე არ უფიქრია. არცერთ პროფესორს არ დაუდასტურებია უარყოფითი პასუხი. 5 პიროვნებას კი სხვა მოსაზრება გააჩნია. რაც შეეხება სტუდენტთა გამოკითხვას დარიგდა 300 ანკეტა, აქედან დაგვიბრუნდა 233. პირველ კითხვას 149 სტუდენტმა უპასუხა, რომ აუცილებლად მიმაჩნიათ მათი გამოჩენა ჩვენს ფაკულტეტზე. 51 სტუდენტს ამაზე არ უფიქრია, 11 სტუდენტს არ მიმაჩნია საჭიროდ, 21 კი სხვა მოსაზრება გააჩნია. მეორე კითხვაზე წარმოადგენს თუ არა სტუდენტისათვის დაბრკოლებას პირთან მეგობრობა 164 განაცხადა, რომ მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს, 45 სტუდენტმა განაცხადა რომ არ იციან, 14 არ უფიქრია, 7 მათგანს არ სურთ მათთან მეგობრობა. ანკეტის შედეგებიდან გამომდინარე, როგორც მოველოდით სტუდენტთა და პროფესორთა უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი.

#### ცნობილი ადამიანები

წარმოგიდგინო მცირე ნაწილს მსოფლიოში სახელგანთქმული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიროვნებებს, რომელთათვისაც ეტლი დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

**სტივენ ჰოუკინგი** იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიზიკოსი და ასტროფიზიკოსი. ის ძირითადად მოღვაწეობდა კოსმოლოგიასა და კვანტურ გრავიტაციაში. დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი და ასევე სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში. 21 წლის ასაკში დაუდგინდა დიაგნოზი ამიოტროფული გვერდითი სკლეროზი, ექიმებმა 2 წელი მისცეს სიცოცხლის, მაგრამ მიუხედავად ამისა 70 წლამდე იცოცხლა. აქვს დაწერილი უამრავი წიგნი, რომლებიც გამოსვლისთანავე ბესტსელერებად იქცა. ჰყავდა 2 ცოლი და 3 შვილი. კემბრიჯის უნივერსიტეტში მიიღო წოდება გრავიტაციული ფიზიკის პროფესორისა, 1979 წელს კი დაინიშნა მათემატიკის ლუკასიელ პროფესორად, რომელსაც მე-18 საუკუნეში ისააკ ნიუტონი იკავებდა. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები და წოდებები: ედინგტონის მედალი, სამეფო საზოგადოების მედალი ალბერტ აინშტაინის მედალი ბრიტანეთის სამეფო ორდენი ასტრონომიის სამეფო საზოგადოების ოქროს მედალი

რომის პაპის სამეცნიერო აკადემიის წევრი იყო

“Wolf Foundation”- ის პრიზი ფიზიკაში

სტურიის პრინცეს ჯილდო კონკორდში

ღირსების ორდენი

აშშ-ს ფიზიკის საზოგადოების იულიუს ედგარ ლილინფილდის სახელობის პრიზი

Case Western Reserve University-ის ჯილდო

სამეფო საზოგადოების ჯილდო

სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის ჯილდო

აშშ-ს პრეზიდენტის ტავეისუფლების მედალი (აშშ-ს უმაღლესი ჯილდო).

**კრისტოფერ რივი** იყო ამერიკელი კინომსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი როლი იყო სუპერმენი.

1995 წელს ის იღებდა მონაწილეობას ცხენების ჯირითში, რომელიც საბედისწეროდ დასრულდა და კისრის ქვევით ის სრულიად პარალიზებული გახდა და სუნთქვაზეც პრობლემა ჰქონდა. ამ ინციდენტის შემდეგ მან ლობირება გაუწია ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ ზურგის ტვინზე ტრამეები. ის იყო ამერიკის პირთა გაერთიანების წარმომადგენელი და ასევე მათი საერთაშორისო ორგანიზაციის ვიცე თავმჯდომარე.

**ტანი გრეი ტომპსონი** იღებს მონაწილეობას პარაოლიმპიურ თამაშებში 1988 წლიდან და წარმოადგენს ბრიტანეთის შორ მანძილზე მრბოლელს 100 მ-დან 800 მეტრამდე. მოიგო 14 პარაოლიმპიური მედალი, მათ შორის 9 ოქროს. მოხსნა 20 მსოფლიო რეკორდი. ამ ბოლო წლებში კი ტელეკომპანია BBC – ის ერთ-ერთი გადაცემის წამყვანია. ის ეტლით გადაადგილდება 7 წლის ასაკიდან, როდესაც დაუდგინდა, რომ ხერხმლის დაზიანება ჰქონდა. 1992 წელს ის აღიარეს წლის სპორტსმენ ქალად და 2000 წელს კი ტელეკომპანია BBC – ის მიერ მიენიჭა წლის სპორტული პერსონის ტიტული. ის ორჯერ დაჯილდოვდა ბრიტანეთის სიამაყის ჯილდოთი. იბრძვის არასწორი სტერეოტიპების დასარღვევად, რომელიც გენდერულ თანასწორობასა და შეზღუდულ შესაძლებლობებს ეხება. ის ჩართულია მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომელიც ითვალისწინებს პირთა არსებული ბარიერების დაძვას.

**კარენ ბრაითმეიერი** –საკმაოდ წარმატებული არქიტექტორი ქალბატონი, რომელიც გვთავაზობს უჩვეულო ცხოვრებისეულ გამოცდილებას, როგორც ეტლის მომხმარებელი. 1993 წელს კარენმა დააარსა საკუთარი კომპანია, რომელიც ორიენტირებულია ხელმისაწვდომი დიზაინზე ყველასთვის. მუშაობს სამოქალაქო და კერძო ორგანიზაციებთან, რომლებიც ქმნიან სპეციალურ პირობებსა და ადგილს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ინდივიდუალური პირებისათვის.

კარენი ყოველთვის ამახვილებს ყურადღებას საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ თემაზე – უნივერსალურ დიზაინზე, ანუ ხელმისაწვდომობაზე, თუ როგორ გადააქციო საკუთარი განსხვავებულობა შენს სიძლიერედ!

2010 წლის 14 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრესიდენტმა ბარაკ ობამამ კარენ ბრაითმეიერი დააწინაურა და ADA-ში (The Americans with Disabilities Act) ერთ-ერთი მთავარი თანამდებობა დაიკავა.

**ფრანკლინ დელანო რუზველტი** – როგორც მოგეხსენებათ, იგი გახლდათ აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი. 4-ჯერ იქნა არჩეული, მას ხშირად მოიხსენიებენ აშშ-ის ერთ-ერთ უდიდესს პრეზიდენტთა შორის.

1921 წლის აგვისტოში, იგი პოლიომილიტით დაავადდა, რის შედეგადაც წელსქვემოთ პარალიზებული იქნა. მიუხედავ ამისა, იგი არ მიიჩნევდა თავს უუნაროდ. მან შეძლო ეტლიდან წამოდგომა და დამოუკიდებლად გადაადგილება მოკლე მანძილზე.

აქედან გამომდინარე, არ შეუძლია ადამიანმა გამოიცილოს რას შეძლებს, ან ვერ შეძლებს სხვა ნებისმიერი ადამიანი, რადგან როდესაც არსებობს რწმენა, მიზანი და მოქმედება, ის შეუძლებელს შეძლებს! განურჩევლად ნებისმიერი ფიზიკური პრობლემისა. როგორც ეს დაამტკიცა ამ თითოეულმა პიროვნებამ.

მათ ცხოვრებადელი მაგალითი მხოლოდ ერთს გვკარნახობს, - “შეიცვალე შენი წარმოდგენა შენს დანიშნულებაზე და შენ მიაღწევ იმას, რაც დღეს მიგაჩნია განუხორციელებლად!”

თემის წერისას გამოყენებული წყაროები:

<http://www.mobilityequipmentsupplies.com/mobility-equipment/2009/12/famous-people-in-wheelchairs/>

ამ ვებ-გვერდზე არის ინფორმაცია ცნობილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

წიგნი: “ვისწავლოთ ერთად”. რედაქტორი - თათია პაჭკორია. 2008წ.